

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია Literature and Literary Theory

სულხან-საბა ორბელიანის იგავების რაფიელ ერისთავსეული პოეტური ვერსიები

ნანა ფრუიძე

საქართველოს უნივერსიტეტი

a-mail: nan.pruidze@ug.edu.ge

ORCID: 0009-0003-0358-2974

<https://doi.org/10.52340/lac.2025.34.11>

SJIF 2025: 8.584

2024 წელს აღინიშნა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, რაფიელ ერისთავის დაბადებიდან 200 წლის იუბილე. მისი „სამშობლო ხევსურისა“ დღემდე რჩება პატრიოტული ლირიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად. რაფიელი, სამოციანელთა უფროსი თანამედროვე და თანამოაზრე გახლდათ. არ დარჩენილა იმ დროისათვის აქტუალური არცერთი საკითხი, რომელსაც რაფიელ ერისთავი არ შეხებია თავის თხზულებებში. თავის დროზე ძალზე პოპულარული იყო არა მარტო მისი პოეზია, არამედ მოთხრობები, პიესები და ვოდევილები.

ისევე, როგორც სამოციანელებს, რაფიელ ერისთავსაც სწამდა, რომ სიტყვაკაზმული მწერლობა, პირველ რიგში, საზოგადოებრივი ინტერესების სამსახურში უნდა მდგარიყო და ადამიანების სულიერი თუ ზნეობრივი გაუმჯობესებისათვის უნდა შეეწყო ხელი. რაფიელ ერისთავი ჩინებულად ხვდებოდა, თუ რაოდენ დიდი მორალურ-ესთეტიკური ზემოქმედების უნარი გააჩნდა იგავს. ამდენად, ლოგიკურია მისი დაინტერესება ამ ჟანრით. მან სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ მიხედვით 1878 წელს გალექსა 15 იგავი; ასევე, ერთ-ერთმა პირველმა თარგმნა ი.ვ. კრილოვის იგავ-არაკები.

საგულისხმოა, რომ კრებულის წინასიტყვაობაში რაფიელი აკონკრეტებს, თუ რატომ შეაჩერა არჩევანი სულხან-საბა ორბელიანის კრებულზე. რაფიელი თავის სამიზნე ჯგუფად პირველ რიგში ბავშვებს მოიაზრებს. მისი თქმით, ამ იგავების წაკითხვის შემდგომ ახალგაზრდები ზნეობრივად უფრო ამაღლდებიან და, რაც მთავარია, სასაუბრო ენას გაიმდიდრებენ. ამავე მიზნით ჩაურთავს მას თითოეული იგავის მორალში ხალხური ანდაზები.

რაფიელი იგავების გადაკეთებისას მეტ-ნაკლებად თავისუფად ეპყრობა საბას ტექსტს: ზოგ შემთხვევაში ცვლის არა მარტო სათაურს, არამედ გარკვეულად აკორექტირებს იგავის მთავარ სათქმელსაც. ამგვარი თავისუფლებს საშუალებას ისიც იძლევა, რომ რ. ერისთავი იგავებს სიუჟეტისაგან დამოუკიდებელ მხატვრულ ერთეულებად წარმოგვიდგენს. ცხადია, მას რომ მთლიანად გაეღექსა სულხან-საბა ორბელიანის თხზულება, ასე ვეღარ მოიქცეოდა. რაც შეეხება იგავების პოეტური ვერსიების შესრულების ხარისხს, უნდა ითქვას, რომ რაფიელმა ღირსეული მეტოქეობა გაუწია საბას, თუმცა თხრობის მისეული დახვეწილი სტილის შეარჩუნება ყოველთვის ვერ მოახერხა.

საკვანძო სიტყვები: სულხან-საბა ორბელიანი, იგავ-არაკები, რაფიელ ერისთავი, პოეტური ვერსიები

2024 წელს აღინიშნა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, რაფიელ ერისთავის დაბადებიდან 200 წლის იუბილე. რაფიელი, სამოციანელთა უფროსი თანამედროვე და თანამოაზრე გახლდათ. არ დარჩენილა იმ დროისათვის აქტუალური არცერთი საკითხი, რომელსაც რაფიელ ერისთავი არ შეხებია თავის თხზულებებში. თავის დროზე ძალზე პოპულარული იყო არა მარტო მისი პოეზია, არამედ მოთხრობები, პიესები და ვოდევილები.

ისევე, როგორც სამოციანელებს, რაფიელ ერისთავსაც სწამდა, რომ სიტყვაკაზმული მწერლობა, პირველ რიგში, საზოგადოებრივი ინტერესების სამსახურში უნდა მდგარიყო და ადამიანების სულიერი თუ ზნეობრივი გაუმჯობესებისათვის უნდა შეეწყო ხელი. რაფიელ ერისთავი ჩინებულად ხვდებოდა, თუ რაოდენ დიდი მორალურ-ესთეტიკური ზემოქმედების უნარი გააჩნდა იგავს. ამდენად, ლოგიკურია მისი დაინტერესება ამ ჟანრით.

1878 წელს ქართველმა მკითხველმა მიიღო გრ. ჩარკვიანის მიერ გამოცემული სულხან-საბა ორბელიანის იგავების რაფიელისეული პოეტური ვერსია. რაკილა თავის სამიზნე ჯგუფად პირველ რიგში ბავშვებს მოიაზრებდა, ავტორი დარწმუნებული იყო, რომ პატარა მკითხველის წარმოსახვაზე, მის ცნობიერებაზე იგავური ენით მოთხრობილი საგულისხმო ამბავი უფრო მეტ ზეგავლენას მოახდენდა, თუკი პოეტურად იქნებოდა გარდათქმული. კრებულის წინასიტყვაობაში რაფიელი აღნიშნავს, რომ საბას თხუთმეტი რჩეული იგავი გალექსა **„იმ განძრახვით, რომ ყრმათა დაინერგონ კეთილი ზნეობა, განშორდნენ ბოროტსა მიმოდრეკილებასა და შეისწავლონ ძველებული ქართული მდაბიო ენა, რომლითაც საბა ორბელიანი გვიხატავს არაკებში მოქმედთა პირთა“**. რაფიელი იმედოვნებს, რომ ამ იგავების წაკითხვის შემდგომ ახალგაზრდები ზნეობრივად ამაღლდებიან და, რაც მთავარია, ლექსიკას გაიმდიდრებენ. ასევე, პატარა მკითხველის მხრიდან იგავის მორალის უფრო ადვილად აღქმის მიზნით ჩაურთავს ტექსტებში ხალხური ანდაზები - **„იგავის ასახსნელს მუხლებში, მაგალითად, ჩაურთე ქართული ანდაზები“**, - წერს ის.

რაფიელი იგავების გალექსვისას საკმაოდ თავისუფად ეპყრობა საბას ტექსტს: ზოგ შემთხვევაში ცვლის არა მარტო სათაურს, არამედ გარკვეულად აკორექტირებს იგავის მთავარ სათქმელსაც. სავარაუდოდ, ამის საშუალებას ისიც იძლევა, რომ რ. ერისთავი იგავებს „სიბრძნე-სიცრუისას“ სიუჟეტისაგან დამოუკიდებელ მხატვრულ ერთეულებად წარმოგვიდგენს. ცხადია, მას რომ მთლიანად გაეღებოდა სულხან-საბა ორბელიანის თხზულება, ასე ვეღარ მოიქცეოდა. მაგალითად, იგავს „ნალბანდი მგელი“ რაფიელმა უწოდა „ვირი და მგელი“. ცხადია, მხოლოდ ეს ფაქტი არსებითად არაფერს ცვლის; მთავარი სხვა რამაა: საბასეულ ვერსიაში დასახელებულ იგავს ლეონი მოგვითხრობს მას შემდეგ, რაც მას და რუქას მეფე ფინეზი ურთერთქიშპის გამო საყვედურს ეტყვის: **„თქვენი სიტყვა თუცა ერთი იყოს, დაემყაროს მეფობა ჩემი. და რადგან მტერნი ხართ, ჩემს საქმეს წაუხდენელს არ გაუშვებთ“** [ორბელიანი, 1970: 88]. ლეონი თავს იმართლებს: რუქას გამო სანანებლად დამირჩა, რომ თქვენთან ყოფნას დავთანხმდით და ყველა იგავს, რომელიც უბრალოდ მთავრდება ფრაზით: **„მამაჩემი ხარაზი იყო და მე ნალბანდობას რა მრჯიდაო“** [ორბელიანი, 1970:90]. რაფიელი კი უმატებს ე.წ. მორალისტურ დასკვნას და სრულიად სხვა დატვირთვას აძლევს იგავს:

„ეს ზღაპარი ჩვენ გვასწავლის,
რომ მწე უნდა იყო მოძმის,
მაგრამ იმით, რაც იცია,
რაც ღმერთს ნიჭად მოუცია,
ან მით, რისაც ხარ მქონეა...

(მე ასე გამიგონია).

ანდაზათაც ნათქომია:

„რაც არ ექმნას მამაშენსა,

ნურც შენ დახევე მარმაშებსა“ [ორბელიანი, 1878:1-2].

იგავს „ობოლი და მისი დედა“ საბასთან გვიამბობს რუქა. მისი მიზანია, ჯუმბერს დელიკატურად უსაყვედუროს, რომ მასზე მეტად ენდობა პრაქტიკულად უცნობ ადამიანს, ლეონს: **„ეს არაკი ამად მოგახსენე: თუ აგრე სიტყვის გამსინჯავი ხარ, მოუწონებელს კაცს რად ეუბნები და აქამდის რად ვერ მოიგონე ჩემი უბრობა?“** [ორბელიანი, 1970:167]. რაფიელი ამჯრადაც განავრცობს იგავის ფინალს და განსხვავებულ აქცენტს აკეთებს:

„ვხედავთ, აქ ფონს დააბრალეს, რადგან შორს იყო ხიდიო,

(ქვრივმა ეს სთქვა მიზეზათა).

მაგრამ თქმულა ანდაზათა:

„შორი გზა მოუარეო და შინ მშვიდობით მიდიო“ [ორბელიანი, 1878:3].

რასაკვირველია, იგავიდან მსგავსი მორალის გამტანაც შესაძლებელია, მაგრამ ამგვარი ინტერპრეტაცია დედნის მიზანდასახულებას რამდენადმე სცილდება.

მსგავსი ვითარებაა იგავში „კუ და მორიელი“. საბასთან მას მეფე ფინეზი გვიამბობს. მისი მიზანია, რუქას შეაგონოს, რომ არ ღირს მისი მხრიდან ლეონთან დაპირისპირება, რადგან თავიდანვე განწირული იქნება დამარცხებისთვის: **„რუქავ, შენნი მსგავსნი ყოველნი მტრისა და მოყვრის მკბენარნი არიან; მაგრა შენ ეს მაინც დამიჯერე. ასეთს საკბენს უკბინე, ან კბილი მოჰკიდო და ან წყალში არ დაირჩო“** [ორბელიანი, 1970:138]. რაფიელი გაცილებით მარტივად აჯამებს იგავის სათქმელს:

„დაისწავლე, მე იგავით რა გიანზე, რა მოვჩმახე

და მეგობრათ კარგი კაცი მეზობლებში მოინახე,

თორემ მორიელის ძმობა, ვინა თქვა რომ კაიაო?

ნათქვამია: „ავი კაცი აღდგომასაც ავიაო“ [ერისთავი, 1878:4].

სულხან-საბა ორბელიანის იგავის - „დათვი და მონადირეები“ - სათაური მცირედ შეცვლილია და რაფიელის კრებულში „დათვი და გლეხი“ ჰქვია. საბასთან ამ იგავს ჯუმბერი ყვება და მისი მიზანია დააშოშმინოს რუქა, რომელიც თვლის, რომ ლეონი ავიწროვებს და გასაქანს არ აძლევს: **„...შენ არავის ეშვები და არ აწყენარებ, თვარა შენი საუბარი არცა ვის ეამება და არცა ვის ეხალისება“** [ორბელიანი, 1970:166]. რაფიელი აბსოლუტურად განსხვავებული ინტერპრეტაციით გვთავაზობს ამ იგავის მორალს:

„ახლა მიინდა შესაფერი ანდაზები ჩამოვჩმახო:

„დათვი როცა მოგერიოს, უნდა მამა დაუძახო“.

გლეხი გლეხს ვერ მიეშველა, იქნება დათვის შიშითა,

„არ გაიკითხვენ გოგოსა ტირილითა და ვიშითა“

„სხვათა ჭირიო -

ღობეს ჩხირიო“ (ერისთავი, 1878:4-5).

განსაკუთრებით შეუფერებლად მიგვაჩნია პირველი ანდაზა - „დათვი როცა მოგერიოს, უნდა მამა დაუძახო“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგავის შინაარსი არანაირად არ იძლევა ამგვარი დასკვნის გამოტანის საშუალებას. ჩვენი აზრით, არანაკლებ შეუფერებელი მეორე ანდაზაც - „არ გაიკითხვენ გოგოსა ტირილითა და ვიშითა“, რაც შეეხება მესამეს, კიდევ შეიძლება მეტ-ნაკლებად მიესადაგოს იგავს, თუმცა დედნის მიზანდასახულებას არც ის პასუხობს.

ქვემოთ ცხრილის სახით გთავაზობთ როგორც სულხან-საბა ორბელიანისეულ, ისე - რაფიელ ერისთავის მიერ შეთხზულ მორალისტურ დასკვნებს საყოველთაოდ ცნობილ იმ იგავებზე, რომლებიც 1878 წელს გამოცემულ კრებულშია შეტანილი.

იგავი	სიბრძნე-სიცრუისა	რაფიელ ერისთავი
ხარბი ქორი (ქორი, იხვი და კაკაბი)	„ახლა თქვენმან რუქამან რომ ავკაცობა გაუშვას და სიკეთეს გამოუდგეს, მას ველარ მოეწევა და ისიც დაეკარგება, მას ქორსავით დაემართება და საბრალო შეიქმნება“ [ორბელიანი,1970:313]	„ხარბის თვალი რით გაძლება..“ (ნუ თუ თქვენ არ იცითაო? ნათქოშია ძველის-ძველათ: „მხოლოდ შავი მიწითაო“. [ერისთავი,1878:5].
ქურდი მკერვალი	„ამისთანა მეფის ძის ზრდა ვის უნახავს და ან ვის ასმია?... მეფის შესმენას ცდილობდა“ [ორბელიანი,1970:42]	„ნულარა მკითხავთ: „ავ კაცსა ხელი რათ გაუბრუნდაო“. ანდაზათ უთქვამთ: „კაი მთქმელს კაი გამგონი უნდაო“. იტყვიან: „კაი შინაურს“ და „მადლი მატლათ ექცაო“არ იქნა, ავი ვერ მოვსპეტდამზადებელსა ვფიცავო“ [ერისთავი,1878:6].
მეხილე და მწყემსი	„ჩემი აქ ყოფნა ვისიც ან ზიანი, ან სარგებელი, ან საწყენი და ან სასიამოვნოა, მე კარგად ვიციო“ [ორბელიანი,1970:94]	„და ეს იგავი არ გაგვაოცებს, ასახსენლათაც განა ძნელია, ჩვენ ამის პასუხს ანდაზა გვაძლევს: „ნამუსიც კარგი საქონელია“ [ერისთავი,1878:7].
ენა (უტკბესი და უმწარესი)	„აწ მეფეო, ხელმწიფეთა წინა მდგომი კაცი სანთელია: თავსა თვისსა დასწავს და სხვათ გაუნათლებს; მეფისა საყვარელსა კაცსა სხვანი სძულობენ და ხრიკითა მასცა შეაძულებენ“ [ორბელიანი,1970:35]	„ანდაზათაც ნათქოშია: (მე სიმართლეს დავადგები) „ენა ტკბილი, ენა მწარე, ენა ქვეყნის ამომგდები“ [ერისთავი,1878:8].
მეფე და მხატვარი	„დღეს ენახე ნიშანი წახდენისა ჩემისა. მე მონა ვარ და დაგემონო. ძისა შენისა გაწვრთნა არ ძალმიც...“ [ორბელიანი,1970:40]	„არაკი ესე ჩვენ გვამცნევს ჭკუას, ანდაზაც უბნობს მასზედ სწორესა: „ხერხი სჯობია-უთქვამთ - ღონესა, თუ კაცი დროზედ მოიგონებსა“ [ერისთავი,1878:9].
სასწაულთ-მოქმედნი (მღმერთობელი მეფე და მისი ვაზირი)	„ჯუშმერ რომ უფლისწულია და ღეონ ოსტატი, ესეც დიდია. თხა-თიკანთ საქმე უსწავლებია და ყველაყას მოწონება გვამრთებს, თვარა დავუწუნოთ, შერცხვინდება და მერმე ზოოხა-კამეჩის საქმეს ველარ ასწავლის“ [ორბელიანი,1970:137]	„ამ იგავის ამხსნელი ანდაზაა ძველიო: „რა ნაირიც მღვდელიო, იმ ნაირი ერიო“ [ერისთავი,1878:10].
მეფე და მისი შვილები (ძალა ერთობისა)	„თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა სდგებართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხსო“ [ორბელიანი,1970:88]	„ნათქოშიც არის ამისთვისაო: „ძმა ძმისთვისაო, შავდლისთვისაო“. „ამხანაგი ნუ გძულსო, საშოვარი ნუ გშურსო...“

		იზარალებს ყოველთვის, ვინც არ უსმენს ბატონსაო. „მგელი ცხვარში დაერია, ვაი ერთის პატრონსაო!“ [ერისთავი,1878:11].
მეფე და მისი შვილი	„რუქას ეგრე ჰგონია, ჯერეთ ესრე სჯობსო. მერმე სიკეთეს ვიქმნო. ეს კი არ იცის, სოფელი მოკლეა და მოუსწრობს. აენაქმნარი და კაის უქმნელი დარჩება“ [ორბელიანი,1970:312]	„ეს თქმა, თუ გესმის, გვასწავლის: ვაცხონოთ ჩვენი სულია, ვიდრე ვცოცხალვართ გლახაკსა შეუმსუბუქოთ წყლულია, ნათქომიც არის: „გქონდესო შენ ლმობიერი გულია,“ „რასაც გასცემ შენია, რაც არა - დაკარგულია“. [ერისთავი,1878:12].
ორნი ძმანი	„სამადლო საქმე მალვით სჯობს“ [ორბელიანი,1970:105]	„დამიჯერე, საყვარელო, „კარგი ჰქმენ და წინ დაგხვდება“ [ერისთავი,1878:13].
განძის უფალი და მეზვერი (ძუნწი და ოქრო)	„არქონება არ ვარგა და ავად ქონება უარესია“ [ორბელიანი,1970:98]	„რომ ვიფიქროთ, ეს იგავი რას გვასწავლის, ჩვენ რას გვამცნევს? ნათქომია: „ავი ძალი არც თითონ სჭამს, არც სხვას აჭმევს“. გამოჩენილის სიმდიდრის ხარჯვა, ხმარება - ჭკვისაა, „მიწას დაფლული განძი კი - იტყვიან - ეშმაკისაა“ [ერისთავი,1878:14].
ზეგნელი (მთიული და კაკლის ხე)	„ეგებ ის კაცი უკეთ იქმოდეს და ისრე სჯობდეს და შენ მეფის წინ სრულ მის აუგს იტყვი“ [ორბელიანი,1970:51].	„იგავი ამას გვასწავლის, სულელურს ნუ რას ჰბოდავო, ანდაზაც ამბობს: „კაცი ბჭობს, ღმერთი კი იცინოდაო“ [ერისთავი,1878:15].

მკვლევარი თ. ჯაგოდნიშვილი მონოგრაფიაში „რაფიელ ერისთავი“ უთითებს: „... რაფიელ ერისთავი სოციალური ბოროტების მოსპობის გზად ამ პერიოდში ადამიანის ზნეობრივ-ეთიკურ სრულქმნას მიიჩნევდა... [მას] ქართულ მწერლობაში უკვე დახვდა მყარი ტრადიციები სულხან საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის სახით. ... იგავ-არაკული ჟანრისადმი პოეტის საგულდაგულო ინტერესის გამოხატულებას წარმოადგენდა არა მარტო ორიგინალური ნართაულობის იერის მქონე ლექსების თხზვა („მომკალი და კელა“, „დათვი და ცხვრები“ და სხვ.), არამედ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე -სიცრუისადმი“ მიქცევაც“ [ჯაგოდნიშვილი, 1986:81-82]. მკვლევარი არ განიხილავს რაფიელის მიერ გალექსილი იგავების ავ-კარგს. ჩვენი მხრიდან კი შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ, სავარაუდოდ, რაფიელ ერისთავს მიზნად არ დაუსახავს საბა ორბელიანის იგავების ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოცემა. პირიქით, როგორც ჩანს, მან გადაწყვიტა, ყველასათვის კარგად ნაცნობი სიუჟეტებისათვის ახლებული სული შთაებერა და სწორედ ამით უნდა ავხსნათ იგავთა მორალის მისეული, ხშირად სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციების შემოთავაზება. რაც შეეხება იგავების პოეტური ვერსიების შესრულების ხარისხს, უნდა ითქვას, რომ რაფიელმა

ღირსეული მეტოქეობა გაუწია საბას, თუმცა თხრობისას დედნისეული დახვეწილი სტილის შეარჩუნება, ვფიქრობთ, ყოველთვის ვერ მოახერხა.

ლიტერატურა:

1. ერისთავი რ., იგავ-არაკნი. გამოკრებულნი „სიბრძნე-სიცრუდგან“ და გალესილნი. თფილისი, ენფიჯანიანის სტამბა, 1878.
2. ორბელიანი ს.-ს., სიბრძნე სიცრუისა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი. 1970.
3. ჯაგოდნიშვილი თ., რაფიელ ერისთავი, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1986.

ნანა ფრუიძე

University of Georgia

a-mail: nan.pruidze@ug.edu.ge

ORCID: 0009-0003-0358-2974

<https://doi.org/10.52340/lac.2025.34.11>

SJIF 2025: 8.584

Rafiel Eristaviuli's poetic versions of Sulkhan-Saba Orbeliani's fables

Abstract

The year 2024 marked the 200th anniversary of the birth of the great Georgian writer and public figure, Rafiel Eristavi. His work, "Homeland of Khevsuri", remains one of the best examples of patriotic poetry to this day. Rafiel was an elder contemporary and like-minded person of the 60's generation. There was no topical issue of that era that Rafiel Eristavi failed to address in his writings. In his time, not only his poetry but also his short stories, plays, and vaudevilles were extremely popular. Just like the 60's generation, Rafiel Eristavi believed that literary writing should primarily serve public interests and contribute to the spiritual and moral improvement of people. Rafiel Eristavi perfectly understood the great moral and aesthetic impact that the fable genre possessed. Therefore, his interest in this genre was logical. Based on Sulkhan-Saba Orbeliani's "Wisdom of Lies", he versified 15 fables in 1878. He was also one of the first to translate the fables of I.V. Krylov.

It is noteworthy that in the preface to the collection, Rafiel specifies why he chose Sulkhan-Saba Orbeliani's work. Rafiel considered children to be his primary target group. According to him, after reading these fables, young people would be morally elevated and, most importantly, enrich their conversational language. For this same purpose, he included folk proverbs in the moral of each fable.

When reworking the fables, Rafiel treated Saba's text with relative freedom: in some cases, he changed not only the title but also somewhat adjusted the fable's main message. This kind of freedom was possible because R. Eristavi presented the fables as artistic units independent of the plot. Obviously, had he versified the entirety of Sulkhan-Saba Orbeliani's work, he would not have been able to take such an approach. As for the quality of the poetic versions of the fables, it must be said that Rafiel offered worthy competition to Saba, although he was not always able to maintain Saba's own refined style of narration.

რეცენზენტი: პროფესორი ნინო კოჭლაშვილი